Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№5, ივნისი, 2018

აჭარელი ეკომიგრანტები წალკაში: ინტეგრაციისა და ადაპტაციის სტრატეგიები

ოთარ სალდაძე

კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანა მუშკუდიანი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: ottosaldadze@gmail.com

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში ეკოლოგიური მიზეზებით გამოწვეული პრობლემები დღითიდღე იზრდება. მსოფლიოს ყურაღების ნაწილი სტიქიური უბედურებებით დაზარალებულ მოსახლეობაზეა მიპყრობილი. საქართველოც ერთ-ერთი მათგანია, რომლისთვისაც ეკოლოგიური მიგრაციები, რაც სტიქიური მოვლენების თანამდევი პროცესია, ახალი არ არის. ეკომიგრანტებს გადაადგილება ერთი კუთხიდან მეორეში თავშესაფრის საძებნელად უწევთ. საქართველოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსგავსი მიზეზით ადგილნაცვალი პირები მრავლად მოიძებნებიან, თუმცა არ არსებობს მათი აღმრიცხველი ზუსტი სტატისტიკა. გადაადგილება ძირითადად აჭარიდან და სვანეთიდან ხდება. ამიტომ ჩვენი კვლევის მთავარ სამიზნე ჯგუფს აჭარიდან წამოსული ეკოლოგიური მიგრანტები წარმოადგენენ, რომელთაც ჩასახლება ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან გარემოში, წალკის რაიონში მოუწიათ, სადაც ლოკალური მოსახლეობა ეთნიკურ ბერძნებსა და სომხებს შეადგენენ. სტატიის მიზანი არის შევისწავლოთ ეკომიგრანტთა სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ინტეგრაციისა და ადაპტაციის სტრატეგიები. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა სოფელ ავრანლოში მცხოვრები ეკომიგრანტები, რომელთა მნიშვნელოვან პრობლემებსაც ადგილობრივ მოსახლეობასთან გულგრილი ურთიერთობები წარმოადგენს, რაც მათთან არასრულყოფილ ინტეგრაციას განაპირობებს და მათ საკუთრებაში არარსებული სახლები და მიწები, რომელიც ეკომიგრანტთა ეკონომიკური პრობლემების მთავარი წყარო და ახალ გარემოსთან სრულყოფილი ადაპტირების პროცესების შემაფერხებელი ფაქტორია.

საკვანძო სიტყვები: ეკომიგრაცია, აჭარელი ეკომიგრანტები, ეკოლოგიური პრობლემები, უმცირესობათა პრობლემები.

შესავალი

მიგრაცია გლობალიზაციის თანამდევი პროცესია. ადამიანები ერთი წერტილიდან გადაადგილდებიან მეორეში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. მიგრაცია შეიძლება მოხდეს, როგორც ერთი ქვეყნიდან მეორეში, ასევე ქვეყნის შიგნითაც, რასაც შიდა მიგრაციას უწოდებენ. მარტივი დასანახია შიდა მიგრაციის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები - იქნება ეს ომის შედეგად დევნილთა მიგრაცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან თუ სოფლებიდან ქალაქში მიგრაცია, შრომითი მიგრაცია უკეთესი ეკონომიკურ-სოციალური პირობების საძებნელად და იძულებითი მიგრაცია ეკოლოგიური პრობლემებისგან თავის დასაღწევად.

საქართველოში ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა პირველი ორგანიზებული გადასახლება 1980-იანი წლების დასაწყისში მოხდა. 1981-83 წლებში, მთავრობის გადაწყვეტილებით, დედოფლისწყაროს, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში, ხობის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში და კასპის რაიონში მაღალმთიანი აჭარიდან 1,010 ოჯახის ჩასახლება განისაზღვრა (ფუტკარაძე, 2006).

დღესდღეობით საქართველოში ეკომიგრანტთა ყველაზე დიდი ნაკადი მაღალმთიანი აჭარიდან მოემართება, რადგან ეს ტერიტორიები მიწის ნაკლებობითა და სტიქიურ უბედურებათა მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. მათი განაწილება უმეტესწილად ქვემო ქართლის რაიონში ხდება. პირველად ისინი, სვან ეკომიგრანტებთან ერთად, წალკის რაიონში 1980-იანი წლების ბოლოს ჩაასახლეს. სადაც ძირითად მოსახლეობას ეთნიკურად ბერძნები, სომხები და აზერბაიჯანელები წარმოადგენდნენ, ამიტომ სახელმწიფომ მათი ჩასახლება წალკის მუნიციპალიტეტში ქართველი მოსახლეობის სიმცირის გამო გადაწყვიტა (საქართველოს გაეროს ასოციაცია, 2003). ეკომიგრანტთა უმრავლესობას ამ პერიოდისათვის სვანები წარმოადგენდნენ, რომელთაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ აზერბაიჯანელებთან, განსხვავებული კულტურისა და ეთნიკური კუთვნილების

საფუძველზე (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). გამომდინარე იქედან, რომ სვანები რაოდენობრივად აღემატებიან აჭარელ ეკომიგრანტებს, ისინი უფრო მეტად ჩანან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი ჩასახლებაც შედარებით ურბანულ გარემოში მოხდა, როგორებიცაა ბოლნისი, დმანისი და გარდაბანი, რის გამოც მეტი შეხება ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან და უფრო მარტივი იყო მათი ინტეგრაცია სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში.

ქვემო ქართლში მცხოვრები სომხები თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ ეკომიგრანტთა ჩამოსახლების პროცესებს. ამავდროულად, ქართველთა აქტიურობა ადგილობრივი აზერბაიჯანელების გაღიზიანებსაც იწვევდა. გარდა ამისა, წალკის რაიონში ჩასახლება არალეგალურად ხდებოდა. მიგრანტები იკავებდნენ ბერძენთა მიტოვებულ სახლებს, იზრდებოდა დანაშაულთა რიცხვი, რაც ძირითადად აჭარელი და სვანი მიგრანტების მხრიდან ბერძნული მოსახლეობის მიმართ ხდებოდა. სომეხი მოსახლეობა კი აცხადებდა, რომ ისინი საკუთარი მეზობლებისა და ბერძენი ნათესავების ქართველებისაგან დაცვას მოითხოვდნენ (სახალხო დამცველის აპარატი, 2005). მართალია, ბერძენ იმიგრანტთა უმრავლესობამ დღეისათვის ქვეყანის ტერიტორიები დატოვა, თუმცა ისინი ინარჩუნებენ მიგრანტთა სტატუსს და პერიოდულად უბრუნდებიან თავიანთ ძველ საცხოვრებლებს, ნათესავებისა და წინაპართა სამარხების მოსანახულებლად თუ სხვა კერძო მიზეზების გამო.

ქვემო ქართლი დღემდე რჩება საქართველოს ერთ-ერთ ეთნიკურად ყველაზე მრავალფეროვან რეგიონად, სადაც თავს იყრის სხვადასხვა ეთნოსისა და განსხვავებული რელიგიის მქონე მოსახლეობა, ვისთან ერთადაც ცხოვრობენ აჭარიდან გადმოსახლებული ეკომიგრანტები. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები ნათლად აისახება მათი იმ საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ადაპტაციის პრობლემებზე, რომელში ცხოვრებაც უწევთ.

ეკომიგრანტთა პრობლემები არ არის სიღრმისეულად გამოკვლეული და საფუძვლიანად შესწავლილი. მათდამი ინტერესი სახელმწიფოსა და სხვა კერძო ორგანიზაციების მხრიდან არც თუ ისე მაღალია. ეს ხალხი საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომლებსაც საკუთარი საცხოვრებლის დატოვება ბუნებისაგან დაუცველობის მუდმივი შიშის გამო უწევთ. ისინი ცხოვრობენ სოციო-კულტურულად განსხვავებულ ადგილას, სადაც ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვანი გარემოა. ყოველდღიურად ხვდებიან სხვადასხვა სირთულეებს - იქნება ეს საცხოვრებელი ადგილთან დაკავშირებული თუ დასაქმების პრობლემები. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ეკომიგრანტთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის პრობლემების კვლევა ნათლად დაგვანახებს რა ბარიერებს აწყდებიან ახალ გარემოში.

სწორედ ზემოთაღნიშნული პრობლემების გამო ჩამოყალიბდა კვლევის მიზანი – შევისწავლოთ წალკაში მცხოვრებ ეკომიგრანტთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის დონე. შესაბამისად, ვიკვლიეთ ეკომიგრანტთა კულტურული ადაპტაციისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და ამ პრობლემებთან გამკლავების მათეული სტრატეგიები, რომელიც ნაშრომში საფუძვლიანადაა განხილული.

ლიტერატურულ-თეორიული მიმოხილვა მიგრაცია ფართოდ განიხილება, როგორც ადამიანთა მიერ საცხოვრებლის მუდმივად ან დროებით შეცვლა. მას არ განსაზღვრავს მხოლოდ გადაადგილების მანძილი და ბუნება. იგი შეიძლება განხორციელდეს ნებაყოფლობით ან ძალდატანებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

მიგრაცია მრავალგვარია: იქნება ეს შრომითი, სასწავლო, იძულებითი მიგრაცია გამოწვეული ომის, ეკოლოგიური თუ სხვა მიზეზებით, და სეზონური მიგრაცია მთიდან ბარში ან პირიქით. ჩვენი კვლევის საგანს ეკოლოგიური მიგრაცია წარმოადგენს. სხვადასხვა მეცნიერული განმარტებით, ეკომიგრანტები არიან ადამიანები, რომელთაც გარემო პირობების გაუარესების ან ბუნებრივი კატასტროფების საფუძველზე უწევთ

მუდმივი საცხოვრებლების დატოვება დროებით ან სამუდამოდ და გადაადგილება ქვეყნის შიგნით ან საზღვრებს მიღმა (CENN, 2013).

პრობლემის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს მეწყერი, ზვავის ჩამოწოლა, მიწისძვრა, წყალმოვარდნა და სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენები. ეკომიგრანტთა რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით ყოველწლიურად იცვლება. 1995 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა რაოდენობამ პიკს მიაღწია და 25 მილიონი შეადგინა (Myers, 2001). იძულებით გადაადგილებულ პირთა მონიტორინგის საერთაშორისო ცენტრის 2017 წლის მონაცემებით, 2016 წელს ეკოლოგიური პრობლემების გამო სახლი 24.2 მილიონმა ადამიანმა დატოვა (Bennett და სხვ. 2017). 2015 წელს ეკოლოგიური მიზეზებით უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ინდოეთში (3,7 მლნ), ჩინეთსა (3,6 მლნ) და ნეპალში (2,6 მლნ) ფიქსირდება. ამავე მონაცემებით, 2014 წლის შემდეგ დაზარალებულ ადამიანთა რიცხვი იზრდება და ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი ადამიანი რჩება საცხოვრებლის გარეშე. პრობლემის მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზი კლიმატის ცვლილებაა, რასაც შემდგომში ბუნებრივი კატასტროფები მოჰყვება (Bilak და სხვ. 2016)

მიგრაციის შედეგად გადაადგილებული პირები ხშირად ახალ კულტურულ გარემოში აღმოჩნდებიან, რაც მათ გარკვეულ ბარიერებსა და დაბრკოლებებს უქმნის. როგორც ჯონ ბერი (1997) აღნიშნავს, ახალ გარემოში მიგრირებულ ჯგუფებს უწევთ, გაიარონ ფსიქოლოგიური, სოციო–კულტურული და ეკონომიკური ადაპტაციის ეტაპები. ბერი საუბრობს აკულტურაციაზე და განსაზღვრავს მას, როგორც ფენომენს, რომელიც ასახავს ურთიერთობის პროცესში ჯგუფთა კულტურული პატერნების ცვლილებას (Berry, 1997). ფრანგი მკვლევარი კამილერი (1990) კი წერს ინკულტურაციაზე, რაც გულისხმობს ადაპტაციისას მიმდინარე განსხვავებული ჯგუფების კულტურული ღირებულებების ათვისებას. ჯონ ბერი აღნიშნავს, რომ ინკულტურაცია

და აკულტურაცია თითქმის ერთმანეთის მსგავსი ცნებებია, თუმცა გამოყოფს ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას, რაც ინკულტურაციას ახალი კულტურის ჩამოყალიბების მიმართ მეტი ინტერსით გამოარჩევს (Berry, 1997). კამილერი თავის თანაავტორ მალევსკა-პიერთან ერთად (1997) ხაზს უსვამს ახალ კულტურასთან ადაპტაციის პროცესში ინტეგრაციის მნიშვნელობას. ინკულტურაცია არ განსხვავდება სოციალიზაციისა და განათლების მიღებისაგან. როგორც ავტორები აღნიშნავენ, ინდივიდი მზად უნდა იყოს დესოციალიზაციისა და რესოციალიზაციისთვის. მათ ყველანაირი კულტურული წესებისა და ღირებულებების დაცვით უნდა მოახერხონ, საზოგადოებაში პატივსაცემი წევრები გახდნენ. კულტურა მთავარი მაინტეგრირებელი სისტემაა, ინტეგრაცია კი კულტურულ ცვლილებათა შეგუების საუკეთესო გზაა. ინდივიდებმა უნდა მოახერხონ საკუთარი იდენტობის დაცვა და ამავდროულად ყოველგვარი წინააღმდეგობების გადალახვით ახალ კულტურასთან ინტეგრაცია, რათა არ მოხდეს მათი დისკრიმინირება.

ეკოლოგიური მიზეზებით გადაადგილებული პირები, საქართველოში ძირითადად ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან გარემოში არიან ჩასახლებული, სადაც ურთიერთობა განსხვავებული ღირებულებებისა და ტრადიციების მატარებელ ხალხთან უწევთ. სწორედ ამიტომ ექმნებათ ეკომიგრანტებს ახალ გარემოში ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. კამილერი და მალევსკა-პიერი (1997) იდენტობის კოჰერენტულობის შენარჩუნების ორ ძირითად, ონტოლოგიურსა და პრაგმატულ სტრატეგიებს გამოყოფენ, რომლის მიხედვით, ინდივიდმა უნდა დაიცვას საკუთარი და ამავდროულად უნდა გაიზიაროს მიმღები კულტურული ღირებულები. როგორც ავტორები ხსნიან, ონტოლოგიური სტრატეგია გულისხმობს საკუთარი კულტურის ერთგულებას, ხოლო პრაგმატული - დომინანტურ კულტურასთან შეგუებას და მისი ღირებულებების გაზიარებას. ინდივიდმა შეიძლება სტრატეგიები მარტივ და რთულ დონეზე გამოიყენოს, რის მიხედვითაც იგი ირჩევს ორი სტრატეგიიდან ერთ-

ერთს, ან ახდენს მის სინთეზს. მარტივ დონეზე ინტეგრაციის პროცესში კონფლიქტისა და სტიგმატიზაციის თავიდან არიდების სამი სტრატეგია გამოიყოფა. პირველი ონტოლოგიურია და საკუთარ კულტურულ ღირებულებებს ებღაუჭება. მეორე სტრატეგია პრაგმატულია და ინდივიდები მაშინ მიმართავენ მას, როდესაც სტრესულ სიტუაციაში იმყოფებიან და შესაძლოა გააკეთონ ის, რასაც სხვა დროს არ გააკეთებდნენ. ხოლო მესამე სტრატეგიას „ქამელეონის იდენტობას“ უწოდებენ, რომლის ქმედებებსაც გარემოებები განაპირობებენ. სწორედ მსგავსი სტრატეგიების გათვალისწინებით უწევთ ცხოვრება საქართველოში ეკოლოგიური მიზეზებით ერთი კუთხიდან მეორეში გადასახლებულ მიგრანტებს, რომელთა ჩასახლებაც ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან გარემოში მოხდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკომიგრანტების უმეტესი ნაწილი, რომლებიც მაღალმთიანი აჭარიდან არიან წამოსული, აქამდეც რელიგიურ უმცირესობებს წარმოადგენდნენ, რადგან ისინი ისლამის მიმდევრები არიან. სწორედ ამის საფუძველზე შეგვიძლია ავხსნათ ეკომიგრანტთა დღევანდელი ყოფა-ცხოვრება და თანაარსებობა ახალ გარემოში დახვედრილ მოსახლეობასთან.

საქართველოში ეკოლოგიური მიზეზებით იძულებით გადაადგილების პირველი ტალღები 1980-იან წლებში შეიმჩნევა, როდესაც აჭარის მაღალმთიანი რეგიონებიდან მეწყრის, წყალდიდობებისა და ზვავების გამო, ათიათასობით ადამიანს უხდებოდა საკუთარი საცხოვრებლის დატოვება. 1981 წლიდან 2006 წლამდე 11 000-მდე ოჯახი დარჩა უსახლკაროდ. 1990-იან წლებამდე მათი ჩასახლება ძირითადად დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ხდებოდა, ხოლო 90-იან წლებში ეკომიგრანტთა ძირითადი გადასახლების მიმართულებას ქვემო ქართლი წარმოადგენდა (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). საქართველოში ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა პირველი ორგანიზებული გადასახლება 1980-იანი წლების დასაწყისში მოხდა. 1981-83 წლებში, მთავრობის გადაწყვეტილებით, დედოფლისწყაროს, გურჯაანისა და

საგარეჯოს რაიონებში (კახეთი), ხობის (სამეგრელო), ასპინძისა და ადიგენის რაიონებში (სამცხე-ჯავახეთი) და კასპის რაიონში (შიდა ქართლი) მაღალმთიანი აჭარიდან 1,010 ოჯახის ჩასახლება განისაზღვრა (ფუტკარაძე, 2006). საბჭოთა ხელისუფლება ეკომიგრანტ ოჯახებს 4500 საბჭოთა რუბლით ეხმარებოდა, ხელს უწყობდა მიწის ნაკვეთის ყიდვასა და სახლების ასაშენებლად საჭირო მასალის ტრანსპორტირებაში. ეკომიგრანტები კი ვალდებული იყვნენ, გარკვეული დროის განმავლობაში, მიღებული თანხის 45% უკან დაებრუნებინათ. მათ უპირატესობა ენიჭებოდათ დასაქმების მხრივაც (ტრიერი & ტურაშვილი, 2007).

1987 წელს სვანეთში ჩამოწოლილი დიდი ზვავის შედეგად 11 000 სახლი თოვლის ქვეშ აღმოჩნდა, ხოლო 60 000 ადამიანი გამოყვანილ იქნა რისკის ზონიდან. სახელმწიფო დადგენილებით, 409 ოჯახმა დაკარგა კუთვნილი ქონება, დაზიანდა 876 ოჯახური მეურნეობა, ხოლო 3468 ოჯახი ექვემდებარებოდა გადასახლებას (ნიჟარაძე, ციტირებული ტრიერი & ტურაშვილთან, 2007). 1989 წელს კი მეწყერმა მაღალმთიანი აჭარა წალეკა, რის შედეგადაც 5657 ოჯახი დაზარალდა. 44 სახლი მთლიანად დაინგრა, ხოლო 1 153 დაზიანდა (ფუტკარაძე, 2006). სხვადასხვა ინფორმაციით, გამომდინარე იქედან, რომ საბჭოთა კავშირი დაშლის ზღვარზე იყო, კორუფციამ იმატა და ბევრმა ისეთმა ოჯახმა მიიღო ეკომიგრანტთათვის განკუთვნილი ქონებრივი უზრუნველყოფა, რომელთაც სტიქია არ შეხებია, რასაც შეიძლება ადასტურებდეს უკუმიგრაციის მაღალი მაჩვენებელი გადმოსახლების დასულების შემდეგ (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). ეკომიგრანტები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდნენ ბინებს და გაიფორმებდნენ მათ სახელზე, თუ შესაბამისი კვლევა-ძიების საფუძველზე მათი სტატუსი დამტკიცდებოდა და ძველი საცხოვრებლიდან ოჯახის ყველა წევრი ამოეწერებოდა. მათ არ ეძლეოდათ საშუალება, გადმოსახლებიდან 25 წლის განმავლობაში გაეყიდათ მათთვის გადაცემული ბინები, თუმცა ამის გაკონტროლება ვერ მოხერხდა (ტრიერი & ტურაშვილი, 2007).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში ეკომიგრანტები ყველამ მიივიწყა. სწორედ ამიტომ დაიწყო უკუმიგრაცია, ჩასახლებული ადგილებიდან თავიანთ პირველსაცხოვრებლებისკენ. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ეკომიგრანტებისთვის ბინების შესაძენად 3 მილიონზე მეტი თანხა გამოიყო, თუმცა დიდი ნაწილი უკვალოდ გაქრა და მხოლოდ რამდენიმე სახლის შეძენა მოხდა. 1998 წელს კი გამოიცა ბრძანება, რომელიც მიზნად ისახავდა ეკომიგრანტთა სოციალური და იურიდიული პრობლემების გადაჭრასა და ეკოლოგიური მიგრაციის მონიტორინგის სისტემის შექმნას. 4 284 უფლებააღჭურვილი ოჯახიდან, რომელთაც სახლები უნდა მიეღოთ, მხოლოდ 2 880 ოჯახის დაბინავება მოხდა, დანარჩენები კი ცხოვრებას განაგრძობდნენ სტიქიურ ზონებში, სვანეთსა და მაღალმთიან აჭარაში (ტრიერი & ტურაშვილი, 2007).

ამავე პერიოდში ეკომიგრანტთა ჩასახლება კულტურულად და რელიგიურად განსხვავებულ რეგიონებში ხდებოდა, რაც ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა. ეკომიგრანტთა უმრავლესობა საზღვრისპირა სოფლებში გაანაწილეს, სადაც ქართველი მოსახლეობის ნაკლებობა შეიმჩნეოდა. ეკომიგრანტებს ეთნიკურად განსხვავებულ ხალხთან ერთად უწევდათ ცხოვრება. სახელმწიფოს მიზანი იყო მსგავსი სოფლების ქართველებით შევსება. მაშინ, როდესაც აჭარლების ქვემო ქართლში ჩასახლება დაიწყო, ეკომიგრანტთა უმრავლესობას ამ პერიოდისათვის სვანები წარმოადგენდნენ, რომელთაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ აზერბაიჯანელებთან, განსხვავებული ეთნიკურობის საფუძველზე. გამომდინარე იქედან, რომ სვანები რაოდენობრივად აღემატებიან აჭარელ ეკომიგრანტებს, ისინი უფრო მეტად ჩანან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი ჩასახლებაც შედარებით ურბანულ გარემოში მოხდა, როგორებიცაა ბოლნისი, დმანისი და გარდაბანი, რის გამოც მეტი შეხება ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან და შედარებით მარტივი

იყო მათი ინტეგრაცია სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში (ტრიერი & ტურაშვილი, 2007).

2004 წლის შემდეგ, მიხელი სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, დაიწყო ეკომიგრანტთა სახლებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა ბინების შესყიდვა წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში. ამავე წელს, წალკის რაიონში ჩასახლებულ აჭარლებსა და ადგილობრივ სომხებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის საფუძველზე, ეკომიგრაციის პროცესების მარეგულირებელი კომისიის ჩამოყალიბების აუცილებლობა გაჩნდა, რომელიც ეკომიგრაციის პროცესების რეგულირებასა და მის იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევას ისახავდა მიზნად. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამ კომისიას შედეგი არ გამოუღია (ტრიერი & ტურაშვილი, 2007).

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის ანგარიშის მიხედვით, 1990-იანი წლების დასაწყისიდან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 17 რაიონში 55 ახალი სოფლის აშენება იყო განსზღვრული. პროექტი ბოლომდე ვერ განხორციელდა და დაგეგმილი 5 095 სახლიდან მხოლოდ 3 090 აშენდა, რომელთაგანაც 2 723 დასახლებულია, ხოლო 367 შენობა ცარიელია ან სხვების მიერ არის დაკავებული

მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის მარტში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეიმუშავა კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც დაზიანების ხარისხის დადგენა და მოსახლეობის განსახლება ხდებოდა, 2013 წლამდე არ არსებობდა ეკომიგრანტის კანონმდებლობით განსაზღვრული ცნება და კრიტერიუმები, რის მიხედვითაც მოხდებოდა მათი აღრიცხვა, სწორედ ამიტომ არ მოიპოვებოდა ეკომიგრანტთა ზუსტი ამსახველი სტატისტიკა. 2013 წელს მინისტრის ბრძანებით მოხდა ეკომიგრაციისა და ეკომიგრანტთა სტატუსის განსაზღვრა. ამავე დადგენილებით, ეკომიგრაცია განისაზღვრება, როგორც „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა გადაადგილება, რომელთა საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი

დანგრეულია ან დაზიანებულია და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მეწყერის, ღვარცოფის, კლდეზვავის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა“, ხოლო ეკომიგრანტ ოჯახად ითვლება „განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში.“

სწორედ ამის შემდეგ საქართველოში ჩნდება სტატისტიკური მონაცემები, რომელსაც იძულებით გადაადგილებულ პირთა მონიტორინგის ცენტრი (IDMC) აქვეყნებს, რომლის მიხედვით, 2013 წელს 1 525 ეკომიგრანტი ფიქსირდება, 2014 წლებში რაოდენობა მკვეთრად იკლებს და 120 ადამიანზე ჩამოდის, ხოლო თბილისის სტიქიის გამო, 2015 წლის მონაცემებით, 1 234 ახალი ეკომიგრანტი ჩნდება (Bilak და სხვ. 2016). მიგრაციის ძირითად ფაქტორებად კი, როგორც აღვნიშნეთ, წყალდიდობები და მეწყრები გვევლინება.

როგორც ჩვენთან ინტერვიუსას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტში რეგისტრაციის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა აღნიშნა, 2013 წელს, კოალიცია ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მოხდა ეკომიგრანტთა სტატუსის განსაზღვრა, შემუშავდა სპეციალური კრიტერიუმები, რომლის მიხედვით, ზარალის ხარისხი დგინდება. სპეციალური კომისიის მეშვეობით ხორციელდება დაზიანებული საცხოვრებლის შესწავლა-გამოკვლევა, გეოლოგიური გამოკვლევებისა და

სოციალური მდგომარეობის შესაბამისად ხდება დადგენილებით განსაზღვრული ქულების მინიჭება. იქმნება დაზარალებულთა სია და მთავრობა 25 000 ლარის ფარგლებში ეკომიგრანტებს აძლევს საშუალებას, თვითონ შეარჩიონ საცხოვრებლად ვარგისი სახლები. მათ მიერვე მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წლის შემდეგ, ბინა მიიღო 629 ეკომიგრანტმა, ხოლო რიგში დგას კიდევ 643 ეკომიგრანტი.

1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქვემო ქართლის რაიონის, წალკის მუნიციპალიტეტის, სოფელ ავრანლოში სტიქიური უბედურებებისა და ეკოლოგიური პრობლემების გამო ჩასახლებული მაღალმთიანი აჭარიდან წამოსული ეკოლოგიური მიგრანტები, რომლებმაც მინიმუმ 15 წელიწადია, რაც დატოვეს თავიანთი პირვანდელი საცხოვრებელი. აღნიშნულ რესპონდენტებს ცხოვრება უწევთ კულტურულად და ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში, რაც მეტად უკავშირდება ჩვენი კვლევის მიზანს და საინტერესოს ხდის მათი ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესებს.

ასაკობრივ ჯგუფს შეადგენენ 35 წლისა და მეტი ასაკის ეკომიგრანტები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 სიღრმისეული ინტერვიუ. შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული, ეკოლოგიური მიზეზებით წალკის რაიონში გადმოსახლებული აჭარელი მოსახლეობის ამსახველი ბაზა, რომელთა დახმარებითაც უნდა მომხდარიყო რესპონდენტთა შერჩევა. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ ველზე ყოფნის პერიოდში ეკომიგრანტი მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლიდან მოშორებით, სამუშაოდ იყო გასული, გამოვიყენეთ არაალბათური შერჩევის ერთ-ერთი მეთოდი, თოვლის გუნდის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ

პირველი რესპონდენტი მოვიძიეთ ინფორმანტის დახმარებით, ხოლო შემდგომ გამოკითხული ადამიანები თვითონ გვაკავშირებდნენ სხვა რესპონდენტებთან.

მონაცემების მოპოვება მოხდა თვისებრივი კვლევის, სიღრმისეული ინტერვიუს მეშვეობით. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ მიერ დასმული პრობლემა აქამდე არასდროს ყოფილა შესწავლილი და გაანალიზებული, სიღრმისეული ინტერვიუს დახმარებით შევეცადეთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიგვეღო აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ინტერვიუს სადისკუსიო გეგმა არასტრუქტურირებულია, რამაც საშუალება მოგვცა, აქცენტები ინტერვიუს პროცესში წამოჭრილი საკითხების შესაბამისად დაგვესვა. იგი შედგებოდა ბლოკებისაგან, რომლის მიხედვითაც რესპონდენტებს უნდა ესაუბრათ საცხოვრებელი ადგილის დატოვებისა და გადმოსახლების მიზეზებზე, ადგილობრივებთან ურთიერთობებსა და მათ ამჟამინდელ ეკონომიკურ მდგომარეობასა და პრობლემებზე და ბოლოს, თუ როგორ ხედავენ ისინი მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს.

2. ეკომიგრანტთა გადმოსახლების მიზეზები და ადაპტაცია ახალ გარემოში

როგორც თავში აღვნიშნეთ, საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, რომლისთვისაც ეკოლოგიური პრობლემები და მისგან გამოწვეული სტიქიური უბედურებების მიზეზებით ადგილმონაცვლეობა ახალი არ არის. ქართველები ოდითგანვე მიგრირებდნენ მთიდან ბარში, მეწყრული საშიშროებისა თუ ზვავისაგან თავის ასარიდებლად. ჩვენს რესპონდენტებს აჭარიდან წამოსული ეკომიგრანტები წარმოადგენენ. მათგან უმრავლესობის გადმოსახლების ძირითადი მიზეზი, აჭარაში ეროზირებადი ზონების არსებობა და მიწების ნაკლებობა იყო. აჭარის ის სოფლები, რომელშიც მათ უწევდათ ცხოვრება, განლაგებულია ისეთ რელიეფზე, სადაც მიწა ეროზირებულია და მუდმივად არსებობს მისი ჩამოშლის საფრთხე. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, რამდენიმე ისეთი ფაქტიც იყო, როდესაც ჩამოწოლილმა

ზვავმა სახლები ჩაიტანა და სოფლები მიწით დაფარა, რამაც მოსახლეობაც იმსხვერპლა.

მიუხედავად იმისა, რომ მათთვის საკმაოდ მტკივნეული იყო მშობლიური სახლების დატოვება, აჭარელი მოსახლეობის ნაწილი დადგა აუცილებელი საჭიროების წინაშე, წამოსულიყო მშობლიური მიწიდან. კიდევ ერთი მიზეზი, აჭარაში მიწების სიმცირე გახდა, რაც თავის მხრივ, განაპირობებდა შემოსავლის ნაკლებობას. ბევრ მათგანს ამ ფაქტორმა კიდევ უფრო მეტად უბიძგა, დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი და ახალი ადგილი მოეძებნათ.

საცხოვრებელი ადგილის შერჩევა, ძირითადად სახელმწიფოს ჩარევით მოხდა. შეირჩა ქართველებით დაუსახლებელი რეგიონები, სადაც არ იყო მიწების ნაკლებობის პრობლემა. კითხვაზე, თუ როგორ მოხვდნენ კონკრეტულად წალკის რაიონის სოფელ ავრანლოში, უმეტესობა მათგანმა გვიპასუხა, რომ სახელმწიფომ შესთავაზა მათ რამდენიმე რაიონი, რის შემდეგაც თავად გააკეთეს არჩევანი. მათი მონათხრობიდან ასევე შევიტყვეთ, რომ ბევრი მათგანი შემდეგ ეტაპობრივად ტოვებდა აჭარის სოფლებს. ვისაც წალკაში ჰყავდა ნათესავი ან ოჯახის წევრი, ისინი „მათ იმედად“ ჩამოდიოდნენ, რამაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია ის, რომ დღესდღეობით სოფლის უმეტესობას აჭარელი ეკომიგრანტები შეადგენენ და მათი რაოდენობა ადგილობრივ ეთნიკურ ბერძენ მოსახლეობაზე გაცილებით მეტია.

რესპონდენტები ვარაუდობენ, თუ რატომ გადაასახლა სახელმწიფომ ისინი კონკრეტულად ამ ტერიტორიაზე. ერთ-ერთი ეკომიგრანტი ამბობს, მისი აზრით, ეს იყო სახელმწიფოს მხრიდან ერთგვარი პოლიტიკა, რომ ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებლად არჩევდნენ ქვეყნის განაპირა რეგიონებს, რომელიც საზღვრებზე მდებარეობს. როგორც მან განაცხადა ქართველობა იმთავითვე მოიაზრებს მართმადიდებლობას, შესაბამისად აჭარელი ეკომიგრანტები თავიანთი განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობისა და ტრადიციების გამო აღიქმებიან, როგორც

არაქართველები, რომლებიც დომინანტი კულტურისა და ჯგუფის მიერ არაღიარებული და დისკრიმინირებულნი არიან.

სოფელი მდებარეობს ვაკე რელიეფზე, სადაც ძალიან დიდი რაოდენობით სახნავ-სათესი მიწებია, რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნავენ, ძალიან ნაყოფიერი და მოსავლიანია. ასევე საცხოვრებელი ტერიტორიები, რომელიც დიდი რაოდენობითაა იმ მასშტაბის სოფლისთვის, როგორიც ავრანლოა.

როგორც რესპონდენტების მონათხრობიდან ჩანს, საკმაოდ კმაყოფილი არიან ტერიტორიითა და ბუნებრივი პირობებით. ერთადერთ ნეგატიურ ფაქტორს მათთვის წარმოადგენს ის, რომ სახლები და მიწები მათ არ ეკუთვნით. ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ საცხოვრებელ და სახნავ-სათეს მიწებში უწევთ ქირის გადახდა.

სწორედ ამ ფაქტორებმა შეუშალა ხელი ეკომიგრანტებს, რათა უფრო მეტად მომხდარიყო მათი ადაპტირება ახალ გარემოსთან. მთლიანად აეთვისებინათ დასამუშავებელი მიწები და მიჰყოლოდნენ სასოფლო მეურნეობას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი, რა თქმა უნდა, სწორედ მიწაზე მუშაობით ცხოვრობს და ეს წარმოადგენს ერთ-ერთ შემოსავლის წყაროს, ეს შემოსავალი მთლიანად გადასახადებში იხარჯება, რაც ეკონომიკური ზარალის მომტანია. გარდა ამისა, არ არსებობს სხვა სახის სამუშაო იმისთვის, რომ დასაქმდეს ასეულობით ოჯახის წევრი. სოფელში არ არის ბაღი, საავადმყოფო, არსებობს მხოლოდ ერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ადაპტაციის პრობლემა ახალ გარემოში გამოიხატა დასაქმების პრობლემაში, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკურ კეთილდღეობასთან.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალ გარემოში ადაპტირება რთული აღმოჩნდა მათთვის, თუმცა ამის მიზეზი არა გეოგრაფიული მდებარეობა და პირობებია, არამედ ის, რომ სახლები და მიწები არ არის მათ საკუთრებაში, რაც მათში დაუცველობის გრძნობას აჩენს, ხელს უშლის ადგილზე დაფუძნებას და აჩენს ადგილობრივებსა და

ეკომიგრანტებს შორის კონფლიქტს. აჭარელთა ძირითად საქმიანობას გადმოსახლებამდე მესაქონლეობა და მიწათმოქმედება წარმოადგენდა, თუმცა მათი წამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მიწების სიმცირე, შლა და უნაყოფობა იყო. სწორედ ამიტომ შეარჩიეს ადგილი, სადაც ბევრი ნაყოფიერი მიწა მოიძებნებოდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მიწების პრობლემა ახალ ადგილზეც ისევ პრობლემად დარჩა.

ეკომიგრანტთათვის მთავარი საარსებო წყარო ხვნა-თესვაა. მიუხედავად იმისა, რომ მიწებს, ისევე როგორც სახლებს, ისინი ადგილობრივი ეთნიკური ბერძნებისგან ქირაობენ, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თავი ირჩინონ, რადგან აღებული მოსავლისგან შემოსული თანხის დიდი ნაწილი ისევ ქირის დაფარვას ხმარდება. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ხანდახან ხდება მოლაპარაკება ბერძნებთან, რომ ისინი მათ დაეხმარებიან ფიზკურ შრომაში და სამაგიეროდ ქირის გადასახადს აღარ გადაიხდიან. რადგან ბერძენ მოსახლეობათა უმრავლესობა მოხუცები არიან და დამხმარე სჭირდებათ, მსგავს შემოთავაზებებს თანხმდებიან.

სოფელი დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი და სავსეა აუთვისებელი მიწებით, რომლებიც, ეკომიგრანტების თქმით, არენდატორებს უკავიათ, ვინც მიწებს არ აქირავებენ. სწორედ ეს არის ეკომიგრანტებისათვის მიწების არქონის მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი. მაშინ, როდესაც არსებობს ადამიანური და ბუნებრივი რესურსი იმისათვის, რომ სოფელს ჰქონდეს შემოსავლის წყარო, ეს რესურსები ხელოვნურად იკარგება. ეკომიგრანტებს ეშინიათ დიდი მიწების ყიდვა, რადგან საკუთრებაში არ აქვთ სახლები და ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს მათი სოფლიდან გასახლება, რაც რისკის ქვეშ აყენებს მათ და საშიშროებას ქმნის, რომ მიწებში გადახდილი ფული დაკარგული იქნება. ასევე აღნიშნავენ, რომ არ უღირთ დიდი ტერიტორიების ათვისება, რადგან მიწის მოვლა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რომლის გადახდის საშუალებაც მათ არ აქვთ.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად ისინი სახელმწიფოს ჩარევას ითხოვენ, რათა მოხდეს მიწების შეღავათიან ფასებში გაცემა და გადასახადის დაფარვის მოქნილი სისტემის დანერგვა, რომ ეკომიგრანტებმა მოახერხონ საჭირო რესურსების გამოყენება, დაიქირავონ ტექნიკა მიწების დასამუშავებლად, მოიყვანონ მოსავალი და მოხდეს მისი ბაზარზე გატანა.

მიწის დასამუშავებლად არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ტექნიკური რესურსებიცაა საჭირო, რაც ავრანლოში მცხოვრებ ეკომიგრანტებს არ აქვთ. როგორც ისინი იხსენებენ, სოფლის საკუთრებაში იყო რამდენიმე ტრაქტორი, რომელიც გამგეობამ გაყიდა, ახლა კი უწევთ გვერდზე სოფლებიდან ტექნიკის დაქირავება, რაც დამატებით ხარჯებს უკავშირდება, მათ კი იმდენი შემოსავალი არ აქვთ, რომ ყველაფრის დაფარვა მოახერხონ.

ამავდროულად, შრომისუნარიან ეკომიგრანტთა დიდი ნაწილი ჩართულია ბრიტანული კომპანია BP-ის (British Petrolium) დროებით პროექტში, რომელიც მათ მიმდებარედ ხორციელდება და თურქული კომპანიის ხელმძღვანელობის ქვეშაა. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასები მაღალი აქვთ, მათ თქმით, ამ თანხის უმეტესი ნაწილი გადასახადებს ხმარდება. დანანებით აღნიშნავდნენ იმასაც, რომ ეს სამუშაო დროებითია, შესაძლოა ნებისმიერ დროს დასრულდეს და არავინ იცის, მომავალში რით ირჩენენ თავს. კომპანია სოფლის გარეთ მდებარეობს, რომელიც თვითონ უწევს სატრანსპორტო მომსახურებას მათთან დასაქმებულ სოფლის მაცხოვრებლებს.

ნებისმიერ ადამიანს, ახალ გარემოში მოხვედრისას, სჭირდება მასთან ადაპტაცია, რაც გულისხმობს, მოერგო იმ გარემო პირობებს, იმ მახასიათებლებს, რაც ახალ სივრცეს გააჩნია. შესაბამისად, ამ საკმაოდ რთულ პროცესს თითოეული ადამიანი ინდივიდუალურად გადის. ბერი (1997) საუბრობს ადაპტაციის მოკლევადიან და გრძელვადიან პროცესებზე. ის ცვლილებები, რომელიც მოკლე დროში ხდება აკულტურაციასთან ერთად, თავისი არსით, ხშირ შემთხვევაში, ნეგატიური და

დამანგრეველია. თუმცა რაღაც პერიოდის შემდეგ იძენს პოზიტიურ სახეს. ჩვენი რესპონდენტების შემთხვევაშიც, გარემოს ცვლილება საკმაოდ მოკლე დროში მოხდა. როდესაც დატოვეს საკუთარი სახლები და აღმოჩნდნენ სრულიად ახალი, განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობის, კლიმატის, ბუნებრივი პირობების მქონე გარემოში, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახა მათზე. ამას ასევე ემატებოდა ის ეთნიკურად თუ რელიგიურად მრავალფეროვანი მოსახლეობა, რომელიც მათ წალკის რაიონში ხვდებოდათ. უმეტესობა რესპონდენტებისა აღნიშნავს, რომ ადაპტაციის პრობლემა მხოლოდ თავიდან, რაღაც პერიოდის განმავლობაში ჰქონდათ, რაც ძირითადად, მოსახლეობასთან ვერშეწყობით იყო განპირობებული, მათი განსხვავებული კულტურული ღირებულებებისგან გამომდინარე. რაც შეეხება ახალ საცხოვრებელ გარემოს, მათი თქმით, გაუმართლათ, რომ მიწებით მდიდარ და ნაყოფიერ სოფელში ჩასახლდნენ, რადგან ამდენი ფუფუნება აჭარაში არ ქონდათ.

3. ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაცია და სოციალურ-კულტურული ადაპტაცია

გარემო, რომელშიც ეკომიგრანტთა ჩასახლება ხდებოდა, ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვანი იყო. მათ ახალი ცხოვრების დაწყება ეთნიკურ ბერძენ და სომეხ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად უწევდათ. ახალ გარემოში მოხვედრისას ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან ინტეგრირება, რასაც ხელი ორივე მხარემ უნდა შეუწყოს. რესპონდენტები ყვებიან, როგორი უარყოფითი განწყობით ხვდებოდნენ მათ. მათი თქმით, ბერძნებს ეგონათ, რომ ისინი მათ ტერიტორიებს იკავებდნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეკომიგრანტთა ნაწილს, რომელთაც გადმოსახლება შედარებით ადრე დაიწყეს, პირველ წლებში ადგილობრივები ძალიან კარგად ხვდებოდნენ, არ ექმნებოდათ სახლების

დაქირავებისა და სამუშაო, სახნავ-სათესი მიწების გამოყენების პრობლემა, თუმცა წლების შემდგომ სიტუაციამ გაუარესება დაიწყო.

რესპოდენტთა ისტორიებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველად, ბერძნების დახვედრას სტუმარმასპინძლური ხასიათი ჰქონდა, თუმცა წლების შემდგომ, როდესაც მიხვდნენ, მათ სოფლებში ჩასახლებული ეკომიგრანტები სტუმრები ნამდვილად აღარ იყვნენ და გააცნობიერეს, რომ შესაძლოა მუდმივად ეცხოვრათ აქ, როდესაც იგრძნეს საფრთხე „საკუთარ“ ტერიტორიაზე, ამან განაპირობა ის აგრესია მათი მხრიდან, რაზეც თითქმის ყველა რესპონდენტი საუბრობს.

როდესაც რაიონში ჩასახლების ტემპი გაიზარდა და სოფლები კიდევ და კიდევ მეტი ეკომიგრანტით ივსებოდა, ადგილობრივებს ანუ „მასპინძლებსა“ და „სტუმრებს“ შორის ურთიერთობა დაიძაბა და სიტუაცია დამძიმდა. რესპონდენტები იხსენებენ ფიზიკურ დაპირისპირების ფაქტებს ეთნიკურ სომხებთან, რომლის მაპროვოცირებლადაც ადგილობრივი ბერძნებს ასახელებენ. მათი თქმით, იქ მცხოვრები ეთნიკური ბერძენი და სომეხი მოსახლეობა შეთანხმებულად, წინასწარ დადგმული სცენარით მოქმედებდნენ, რათა შეექმნათ პრობლემები აჭარლებისთვის და მათი მდგომარეობა იქამდე მიეყვანათ, რომ სოფლები დაეცალათ და რაიონიდან გასულიყვნენ, თუმცა სიტუაცია იმდენად დაიძაბა და დროში გაიწელა, რომ სახელმწიფო სტრუქტურების ჩართვა გახდა საჭირო, სოფელში მოხდა სპეცრაზმის შეყვანა და 24-საათიანი კონტროლი ხორციელდებოდა. ამ მოვლენების შემდეგ, მსგავს დაპირისპირებებს აჭარელ ეკომიგრანტებსა და ადგილობრივ ეთნიკურ უმცირესობებს შორის ადგილი აღარ ჰქონია.

აქვე უნდა აღინიშნოს მცირე დაპირისპირება ქალებს შორის, რომელსაც ადგილი გადმოსახლების პირველ წლებში ჰქონდა. ქალი რესპონდენტები იხსენებენ, რომ ერთ-ერთი შელაპარაკებისას აჭარელმა ეკომიგრანტმა ქალმა ახსენა, რომ ისინი [აჭარლები] თავიანთ [ქართველების] მიწაზე მოვიდნენ და დასახლდნენ და მათი

გაყრის უფლება არავის ჰქონდათ, რის გამოც ბერძენ და ქართველ ქალებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, რომელიც ასევე ქალების მეშვეობით დააცხრეს.

როგორც კამილერი და მალეევსკა-პიერი (1997) აღნიშნავენ, ინდივიდი ახალ კულტურულ გარემოში მზად უნდა იყოს დესოციალიზაციისა და რესოციალიზაციისთვის. მათ ყველანაირი კულტურული ნორმებისა და ღირებულებების დაცვით უნდა მოახერხონ, საზოგადოებში პატივსაცემი წევრები გახდნენ. კულტურა მთავარი მაინტეგრირებელი სისტემაა, ინტეგრაცია კი კულტურულ ცვლილებათა შეგუების საუკეთესო გზაა. ინდივიდებმა უნდა მოახერხონ საკუთარი იდენტობის დაცვა და ამავდროულად, ყოველგვარი წინააღმდეგობების გადალახვით ახალ კულტურასთან ინტეგრაცია, რათა არ მოხდეს დისკრიმინირება. ჩვენი რესპონდენტის შემთხვევაშიც, ისინი მყარად იცავენ თავიანთ კულტურულ ღირებულებებს და ცდილობენ ინტეგრაციას, თუმცა დომინანტური კულტურა არ აძლევს მათ ამის საშუალებას. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რაც განპირობებულია მათი რელიგიური აღმსარებლობით, ისინი მყარად იცავენ თავიანთ რელიგიას და მუდმივად ხაზს უსვამენ, რომ ისინი მუსლიმები არიან.ძალიან დიდია მათთვის ეროვნულობის განცდაც და ქართველად იდენტიფიცირება. შეურაცხმყოფელია ეთნიკური ბერძნების მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფები და მათი თათრებად მოხსენიება. ისინი მიიჩნევენ, რომ რწმენა მათთვის წმინდა და ხელშეუხებელი რამეა, მათი იდენტობაც მყარია და არავის აქვს უფლება, შეეხოს და შეურაცხყოს ის.

აშკარაა, რომ რესპონდენტებს რელიგიასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მგრძნობიარე დამოკიდებულება აქვთ, შესაბამისად ის ფაქტი, რომ დომინანტური კულტურა ვერ იღებს მათ, როგორც განსხვავებულს და, თავის მხრივ, ეკომიგრანტებიც მყარად ინარჩუნებენ თავიანთ კულტურასა და იდენტობას, სწორედ ეს არის მიზეზი

იმისა, რომ ვერ ხერხდება ამ ორი კულტურის შერწყმა, ამიტომ ცხოვრობენ მუდმივ კონფლიქტებსა და დაპირისპირებებში. ორი ჯგუფის ერთმანეთთან ინტეგრაციისათვის საჭიროა ორივე მხარის რეაგირება და ჩართულობა მიმდინარე პროცესებში, რაც ამ შემთხვევაში მხოლოდ ცალმხრივად მიმდინარეობს. ჩვენი დაკვირვებითა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, ეკომიგრანტები მეტად ცდილობენ ადგილობრივ ჯგუფებთან დასაახლოვებასა და მათთან სრულყოფილ ინტეგრირებას, თუმცა მეორე მხარის, ეთნიკური ბერძნების ინტერესში არ შედის მათთან ახლო ურთიერთობების ქონდა, რადგან ეკომიგრანტები მათთვის აღიქმებიან როგორც უცხოები, განსხვავებული ენის, რელიგიისა და კუტურის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარელ ეკომიგრანტებსა და ეთნიკურ ბერძნებს ერთად უკვე დაახლოებით 18 წელია უწევთ ცხოვრება, მარტივი შესამჩნევია, ერთმანეთისგან რამდენად განცალკევებულად ცხოვრობენ და მოქმედებენ. როგორც მათთან არაფორმალურ საუბარში ჩანდა, ისინი მხოლოდ საქმიან ურთიერთობებს სჯერდებიან; თუმცა, არის მცდელობები ერთმანეთის დღესასწაულებზე მილოცვებისა და დაპატიჟების.

ჩვენი ველზე ყოფნის პერიოდში შევესწარით სიტუაციას, როდესაც ბერძენი ოჯახი საკუთარ შვილებს, რომლებმაც 12 წლის განმავლობაში ქართულ სკოლაში ისწავლეს, აჭარელ ეკომიგრანტებთან ერთად, არ უშვებდა სკოლის გამოსაშვებ საღამოზე. მიუხედავად სოფლის მოსახლეობის, მშობლებისა და თანაკლასელების დაჟინებული თხოვნისა, მშობლები მტკიცე უარზე იყვნენ. ჩვენ დავინტერესდით, რა იყო ამის მიზეზი და როგორც ეკომიგრანტები აღნიშნავდნენ, თითქოს მათ არ უნდოდათ, რომ თავიანთი ქალიშვილები ქართველებთან ერთად გაეშვათ ბანკეტზე, ამბობდნენ, რომ გამოსაშვები საღამოსთვის განკუთვნილ თანხებს დაფარავდნენ, თუმცა მათი შვილები სახლში დარჩებოდნენ.

სწორედ ეს და ამის მსგავსი სიტუაციები უქმნით ეკომიგრანტებს დაბრკოლებებს ადგილობრივ მოსახლეობასთან სრულყოფილი ადაპტაციისა და ინტეგრაციისათვის. ისინი ყველანაირ ხერხს მიმართავენ, რათა ბოლომდე მოხდეს მათი დაახლოება, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით მეორე, „მასპინძელი“ მხარის შესახებ.

4. ეკომიგრანტთა პრობლემების დაძლევის გზები მათი თვალთახედვით

წინა თავებში დეტალურად აღვწერეთ ის პრობლემები, რომლებზეც ეკომიგრანტები საუბრობენ. ქვეყანაში პერიოდულად მათზე მიმართული მრავალი პოლიტიკა ტარდება, თუმცა უშედეგოდ. როგორც ვხედავთ, ეკომიგრანტების პრობლემები მათი გადმოსახლებიდან დღემდე არ იცვლება. მათ არ აქვთ სახლები, მათთვის არ არის სამუშაო ადგილები და არ აქვთ საშუალება იქირაონ მიწები, რათა მოიყვანონ მოსავალი და თავი ირჩინონ.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა სახის პრობლემებისა, ეკომიგრანტთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა საკუთრების უქონლობაა, რაც მათი ხელშეუხებლობის გარანტია. ერთადერთი, რასაც ისინი ერთხმად ითხოვენ, სახლებისა და მიწების შესყიდვა და დაკანონებაა, რაც მათი აზრით, მთავრობის მოვალეობაა. როგორც ისინი აცხადებენ, პირვანდელი საცხოვრებელი უკეთესი პირობების მოსაპოვნელად დატოვეს, მათ კი არანაირი ხელშეწყობა არ აქვთ. მათ მიერ ნაქირავები ბინების პატრონები საბერძნეთში წასული ეთნიკური ბერძნები არიან, რომლებიც პერიოდულად ბრუნდებიან და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ასახლებენ ეკომიგრანტებს. ეს უკანასკნელნი კი ღამის გასათევის გარეშე, ღია ცის ქვეშ რჩებიან.

როგორც ჩვენთან საუბარში განაცხადეს, აგვისტოს თვე მათთვის ყველაზე მძიმე და საზარელი პერიოდია. ამ დროს ყველა სახლის პატრონი სოფელში ბრუნდება. ამ

პერიოდში მათ უწევთ მთელი წლის ქირის გადახდა და მათ წასვლამდე იმის შიშში გათენებული ღამეების გადაგორება, რომ გარეთ არ გამოყარონ.

ყველა ერთად პასუხისმგებლობის აღებას მთავრობას სთხოვს, მთავრობა უფრო მეტად უნდა ინტერესდებოდეს მათი პრობლემებით და ცდილობდეს მათი საკუთრებით უზრუნველყოფას, რათა ეკომიგრანტებს იმის გარანტია ჰქონდეთ, რომ ერთ დღესაც ქუჩაში არ აღმოჩნდებიან.

როდესაც სახლებს მიიღებენ საკუთრებაში, მათ იმის გარანტია ექნებათ, რომ სოფლიდან აღარავინ გაყრის და თავისუფლად შეძლებენ დამკვიდრებას. როდესაც ქირის ფული აღარ ექნებათ გადასახდელი, შეძლებენ მიწების შესყიდვას ან შედარებით დიდი ნაკვეთების დაქირავებას, რაც მათ შემოსავალს გაზრდის და თავის რჩენას გაუადვილებს.

მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მათ არავინ უსმენს, მათ პრობლემებს არავინ ითვალისწინებს. ეს ის პრობლემებია, რაც ეკომიგრანტებს აწუხებთ და მთავრობა კი ის ინსტიტუციაა, რომლისგანაც დახმარებას ელიან, თუმცა უშედეგოდ.

დასკვნა

ეკოლოგიური მიგრაციის პროცესები საქართველოში ათეულობით წლებია მიმდინარეობს. გადმოსახლება ძირითადად მაღალმთიანი აჭარიდან და სვანეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მიმდინარეობს. ეკომიგრანტები ქმნიან ახალ სოფლებს ან მათი ჩასახლება შედარებით დაცლილ და არაქართულ სოფლებში ხდება.

აჭარიდან წამოსულმა ეკომიგრანტებმა წალკის რაიონის სოფელ ავრანლოში ჩასახლება დაახლოებით ორი ათეული წლის წინ დაიწყეს. ამის მიზეზი ეკოლოგიური კატასტროფები იყო. აჭარის მაღალმთიან სოფლებში მიწების შლა, რაც სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია, განაპირობებდა მოსახლეობის მიერ საკუთარი

საცხოვრებლების დაცლასა და სოფლების დატოვებას. სოფელი ავრანლო, რომელიც ბერძნების სოფლად მოიხსენიება, სახელმწიფოს მიერ იქნა შერჩეული და შეთავაზებული ეკომიგრანტებისათვის. კვლევის პროცესში ეკომიგრანტთა ახალ გარემოში ინტეგრაციასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა.

ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცესი, საკმაოდ რთული აღმოჩნდა. გამომდინარე იქედან, რომ ეკომიგრანტები წამოსვლამდე აჭარაში მიწათმოქმედებით იყვნენ დაკავებული, თუმცა მიწების ნაკლებობა და ეროზია არ აძლევდათ საშუალებას, უფრო დიდი ტერიტორიები მოეცვათ, ამიტომ მათ შეარჩიეს ადგილი, სადაც დიდი რაოდენობით მოსავლიანი მიწები დახვდათ. ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ამ მიწებისა და სახლების სხვის საკუთრებაში არსებობა წარმოადგენს, რის გამოც უწევთ ქირაში დიდი რაოდენობით თანხის გადახდა, ხოლო მიწაზე მუშაობის შედეგად მოსავლით აღებული თანხაც მთლიანად ამ გადასახადებში იხარჯება. ფაქტობრივად, მათ არ გააჩნიათ საკუთრება. ისინი ცხოვრობენ ადგილობრივი მოსახლეობის სახლებში, იყენებენ მათ მიწებს, მუშაობენ მათთვის და მიუხედავად თითქმის ოცწლიანი თანაცხოვრებისა, თავს სტუმრებად გრძნობენ. ამ პირობებში ძალიან რთულია მათი ადაპტაცია და ბოლომდე მორგება გარემოზე.

მოსახლეობასთან ინტეგრაციის მხრივ კიდევ უფრო პრობლემური აღმოჩნდა ახალი გარემო. ადგილობრივებს სოფელში წარმოადგენენ ეთნიკური ბერძნები, რომელებიც თავიდან ხელგაშლილნი ხვდებონენ „სტუმრებს“, თუმცა მიგრანტთა მატებასთან ერთად მათი განწყობებიც იცვლებოდა და უფრო ცივდებოდა. ჩნდებოდა კონფლიქტის კერები, რომელთაც ადგილობრივები ხელოვნურად აღვივებდნენ. კონკრეტულად იგულისხმება რელიგიური, ეთნიკური და კულტურული განსხვავებულობის ფონზე წარმოშობილი კონფლიქტები, რომელიც სხვადასხვა სახით ვლინდებოდა, იქნება ეს ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირება. ეკომიგრანტების შევიწროვება ამ კუთხით

ყოველდღიურ ხასიათს ატარებს და წლების განმავლობაში გრძელდება, თუმცა შეფარვითა და ირიბად. როგორც აღმოჩნდა, ესეც დაუძლეველი პრობლემა გახდა მათთვის, რაც ხელს უშლის ეკომიგრანტთა ადგილობრივებთან ინტეგრაციას.

ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ეკომიგრანტების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესში. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მათ საკუთრების ფლობაში. ეკომიგრანტებს სჭირდებათ სახლი, მიწა, საკუთარი შემოსავლის წყარო, რათა სოფლის სრულუფლებიან მაცხოვრებლებად იგრძნონ თავი და არ იცხოვრონ მხოლოდ გადარჩენისათვის.

აღნიშნულმა საკითხმა უნდა დააინტერესოს სახელმწიფო და სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების შესწავლით არიან დაკავებული და მიმართულებას მისცეს მათ, თუ როგორ უნდა მოხდეს ეკომიგრანტთა ხელშეწყობა და რა მიმართულებით უნდა დაიგეგმოს მათზე მიმართული მხარდამჭერი პროგრამები.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ადამიანებისთვის, პირველ რიგში, არის სახლების და მიწების დაკანონება, რომ ჰქონდეთ საკუთარი კერა, ხელი მიჰყონ მიწათმოქმედებას და იცოდნენ, რომ მათი წვალებით მოპოვებული თანხა მათვე მოხმარდება და შეძლებენ ადამიანურ პირობებში არსებობას. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს მოქნილი პროგრამები მათ დასახმარებლად. უნდა მოხდეს ეკომიგრანტთა პრობლემებით დაინტერესება და შესწავლა. პერიოდულად უნდა მიმდინარეობდეს მათთან შეხვედრები და სიტუაციის ადგილზე შესწავლა, რის საფუძველზეც უნდა ქვეყნდებოდეს ანგარიშები, რაც სახელმწიფო სტრუქტურებსა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს გაუმარტივებს გზებს ეკომიგრანტთა დასახმარებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. UNAG. (2013). აზერბაიჯანული და ბერძნული მოსახლეობა საქართველოში. თბილისი: საქართველოს გაეროს ასოციაცია.
2. სამინისტრო, ლ. დ. (2013). მინისტრის ბრძანება #779. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. თბილისი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. Retrieved from http://mra.gov.ge/res/docs/2015031611574950546.pdf
3. სამინისტრო, ლ. დ. (2015). სამინისტროს 2015 წლის ანგარიში. თბილისი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.
4. ტრიერი, ტ., & ტურაშვილი, მ. (2007). ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006. თბილისი: უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI).
5. ფუტკარაძე, თ. (2006). აჭარის მოსახლეობის მიგრაციისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები. ბათუმი: ბათუმის უნივერსიტეტი.
6. Bennett, K., Bilak, A., Bullock, N., Cakaj, L., Clarey, M., Desai, B., Monaghan, L. (2017). Global Report on Internal Displacement. Geneva: Internal Displacement Monitoing Centre. Retrieved from http://www.internal-displacement.org/library/publications/2017/2017-global-report-on-internal-displacement
7. Berry, J. W. (1997). Immigration, Acculturation, And Adaptation. Applied Phsychology, 46(1), 5-68.

8. Bilak, A., Cordona-Fox, G., Ginnetti, J., Rushing, E. J., Scherer, I., Swain, M., Yonetani, M. (2016). Global Report on Internal Displacement. Geneva: Internal Displacement Monitoring Centre. Retrieved from http://www.internal-displacement.org/library/publications/2016/2016-global-report-on-internal-displacement-grid-2016/

9. CENN. (2013). Eco-migration in Armenia - Trends, Dynamics and Challenges. Yerevan: Caucasus Environmental NGO Network.

10. Lee, E. S. (1966, March). Theory of Migration. (J. Iceland, S. Matthews, & J. V. Hook, Eds.) Demography, 3(1), 47-57.

11. Malewska-Peyre, H., & Camilleri, C. (1997). Socialization and Identity Strategies. In J. W. Berry, P. R. Dosen, & T. Saraswathi, Handbook of Cross-cultural Psychology: Basic processes and human development (2 ed., Vol. 2, pp. 42-65). John Berry.

12. Myers, N. (2001). Envronmental Refugees: A growing phenomenon of the 21st century . The Royal Society, 609-613.